

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 6**

ქ. თბილისი

02.06.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;

ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:**

თეონა ხუფენია - რექტორის თანამშემწე;

ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:

მეუფე სპირიდონი - უნივერსიტეტის რექტორი;

ავთანდილ დიასამიძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტის ლექტორი;

თემურ ტუნაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნაილა ჩელეზაძე - პროფესორი;

გოგიტა მშვენიერაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი.

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი:

ერმილე მესხია - რექტორი;

მაია ჭიჭილეიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი.

4. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი:

ეკატერინე სუხიშვილი - რექტორის მოადგილე;

ლევან მოსახლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:

ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - ვიცე-რექტორი;

მადონა კეკელია - პროფესორი;

ელისო კერესელიძე - პროფესორი.

6. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

დავით გუბელაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჩახუნაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- თამარ გაიხარაშვილი;
- ნინო ბალანჩივაძე;
- გოდერძი ბუჩაშვილი;
- ლილი ხეჩუაშვილი;
- ნინო ჩიქოვანი;
- ეკატერინე გიგაშვილი;
- ვასილ კიკუტაძე;
- ია ნაცვლიშვილი;
- გოჩა თუთბერიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:19 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, რადგან სხდომაზე წარმოდგენილი იყო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის

მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეს ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ლამა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში 2017 წლის 31 მაისს შემოსული იყო შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ ჰიპოკრატეს კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №573323), რომლითაც ის ითხოვდა ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვის გადადებას შემდგომი სხდომისთვის. ასევე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ითხოვდა მათი საკითხის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ბოლო საკითხად გადატანას. საბჭომ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობები და დაამტკიცა სხდომის დღის ახალი წესრიგი.

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;

3. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.



1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ვასილ კიკუტაძემ და ია ნაცვლიშვილმა.

ექსპერტის განცხადებით დაწესებულებას გათვალისწინებული და შესრულებული ჰქონდა პროგრამის აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ნაწილი იყო შესრულების პროცესში.

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით მუშავდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი, სადაც დაგეგმილი იყო პროგრამის სტრუქტურაში მეტი არჩევითი კომპონენტების გათვალისწინება;

- ცალკეული სილაბუსების დონეზე გაწერილი იყო სწავლის შედეგები კომპეტენციების მიხედვით, კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ოპტიმიზირებული იყო პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა;

- დახვეწილი იყო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, გაუმჯობესებული (გამრავალფეროვნებული) იყო პროგრამაში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები;

- უნივერსიტეტი ცდილობდა გაეფართოებინა სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი, პროგრამის სტუდენტები ძირითადად მონაწილეობდნენ ადგილობრივ და

რეგიონულ კონფერენციებში, თუმცა აქტიურად ერთვებოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, მაგალითად: უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 6 სტუდენტი იმყოფებოდა ERASMUS MUNDUS-ის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. გარდა აღნიშნულისა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და სარგებლობდა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით;

- უნივერსიტეტი ცდილობდა ყოველწლიურად განეახლებინა საბიბლიოთეკო რესურსი, მათ შორის სასწავლო ლიტერატურა, შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენდა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის რეინვენტარიზაციას და ახალი გამოცემების მოზიდვას. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა მოცემულ ეტაპზეც და საჭირო იყო მისი გააქტიურება;

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყო საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო რესურსებით, კერძოდ, ხელმისაწვდომი იყო ისეთი ბაზების გამოყენება, როგორიც იყო Scopus Science და Direct.

ექსპერტმა აგრეთვე დააფიქსირა მონიტორინგის ვიზიტის დროს მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო უნივერსიტეტს გაეგრძელებინა აქტიური მუშაობა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ 1, 4 და 5 რეკომენდაციების შესრულებაზე;

- სასურველი იყო შეცვლილიყო პროგრამაში შემავალი ზოგიერთი დისციპლინების წინაპირობები, კერძოდ: დისციპლინა ბიზნესის გეგმას - წინაპირობად ნაცვლად კალკულუსის, ზოგადი მენეჯმენტის, ბიზნესის საფუძვლების, მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპებისა უმჯობესი იქნებოდა, განსაზღვრული ჰქონოდა მხოლოდ ბიზნესის საფუძვლები; დისციპლინას სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში წინაპირობად ნაცვლად კალკულუსისა უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრული ჰქონოდა მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის, რადგან აღნიშნული დისციპლინის წინაპირობა უკვე გახლდათ კალკულუსი. დისციპლინას ალბათობის თეორია წინაპირობად ნაცვლად კალკულუსისა უმჯობესი იქნებოდა განსაზღვრული ჰქონოდა მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის, რადგან აღნიშნული დისციპლინის წინაპირობა უკვე გახლდათ კალკულუსი. დისციპლინას ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში წინაპირობად ნაცვლად მაკროეკონომიკის პრინციპებისა და ბიზნესის საფუძვლებისა მიზანშეწონილი იყო წინაპირობად განსაზღვრული ჰქონოდა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;

- სასურველი იყო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო დისციპლინების მოდული გადლიერებული ყოფილიყო მარკეტინგისა და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულების ისეთი დისციპლინებით, როგორიც იყო მაგალითად: ბიზნესის მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა, კომპიუტერული პროგრამები ბუღალტრული აღრიცხვისათვის;

- სასურველი იყო სტუდენტებს ჰქონოდათ საშუალება არჩევითი კომპონენტის სახით აერჩიათ გერმანული და ფრანგული ენები, რაც გაზრდიდა აკადემიური თავისუფლების ხარისხს და აამაღლებდა მათ კონკურენტუნარიანობას, როგორც განათლების შემდგომ საფეხურზე, ასევე დასაქმების ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე;

- ბიზნესის ადმინისტრირების არსებული პროგრამის მიხედვით, პროგრამის ყველა სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებდა A1 დონიდან, თუმცა რეალურად ხორციელდებოდა სტუდენტების ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად და შედეგად ხდებოდა მათი გადანაწილება სხვადასხვა დონეზე, შესაბამისად აღნიშნული დონეების

ამსახველი სილაბუსები არსებობდა და გამოიყენებოდა უნივერსიტეტში, თუმცა არ იყო პროგრამის სტრუქტურაში ასახული. საჭირო იყო მათი პროგრამის სტრუქტურაში ასახვა;

- სასურველი იყო პროგრამაში თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის, მათ შორის ცნობილი უცხოური უახლესი გამოცემების ქართული თარგმანებისა და უშუალოდ უცხოენოვანი ლიტერატურის მეტად გამოყენება;

- მიზანშეწონილი იყო განხორციელებულიყო პრაქტიკის სილაბუსში გამოყენებული 30 ქულიანი შუალედური შეფასების ჩაშლა, რანჟირება ქულების მიხედვით. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტში აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენლის განცხადებით მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი გახლდათ თვითშეფასების ანგარიშების არასრულყოფილი სახით წარმოდგენა. დაწესებულებას დაწესებული ჰქონდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესი, რაც გულისხმობდა სტრუქტურის არა მხოლოდ გადათამაშებას არამედ მისი სხვა ფორმატით წარმოდგენას, რაც ფაქტიურად ახალი პროგრამის სახეს შეიძენდა. აღნიშნული მომენტისათვის მოდიფიცირება დროებით შეჩერებული გახლდათ, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა სტრატეგიული ორიენტირი პროფესიული პროგრამების მიმართულებით, კონკრეტულად აგრარული მიმართულებით, იგეგმებოდა მოდულების ჩაშენება. კერძოდ, ფერმერის და ბუღალტრის მე-4 და მე-5 საფეხურების მიმართულებით, ელოდებოდნენ კვალიფიკაციის ჩარჩოში ცვლილებების შეტანას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დაწესებულება წარადგენდა მოდიფიცირებულ პროგრამას ახალ სასწავლო წელს. რაც შეეხებოდა უცხო ენას, სამეგრელოს რეგიონში რუსული ენაც ინგლისურთან ერთად გახლდათ პრიორიტეტი, ვინაიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული სტუდენტების მხრიდან იკვეთებოდა მოთხოვნა რუსული ენის მიმართულებით. დაწესებულებას ჰქონდა საჯარო მმართველობის პროგრამა, სადაც არჩევითი პრინციპით ჩადებული ჰქონდათ ოთხი უცხო ენა. შესაბამისად ბიზნესის ადმინისტრირების მოდიფიცირებულ პროგრამაშიც დაფიქსირდებოდა რამდენიმე უცხო ენა არჩევითი პრინციპით, მათ შორის რუსულიც. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებდა უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი, სადაც სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებოდა ესწავლა არა მხოლოდ ინგლისური, არამედ გერმანული და ფრანგული ენებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, იცოდნენ თუ არა იძულებით გადაადგილებულმა სტუდენტებმა რუსული ენა სრულყოფილად და საიდან იყვნენ ისინი წარმოშობით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი კონტიგენტის 35 პროცენტს შეადგენდა გალიდან გადასული სტუდენტები, მათ ძირითად ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო დაფინანსება ვინაიდან მათი ატესტატი ავტომატურად უზრუნველყოფდა მათ სახელმწიფო გრანტით.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ერასმუსის პროექტებით საზღვარგარეთ წასული სტუდენტები არაჩვეულებრივი შედეგებით ბრუნდებოდნენ უკან. დაწესებულებაში გაეროს პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებდა ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც უფასოდ სთავაზობდა სტუდენტებს ბუღალტერიის სერთიფიცირებულ კურსებს; აგრეთვე ერასმუსის მონაწილე სტუდენტებს უცხო ენების ცენტრის მეშვეობით საშუალება ჰქონდათ დამატებით გაეძლიერებინათ ენის შესწავლა. უცხო ენების ცენტრი დაფუძნებული გახლდათ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით და თანამშრომლობდა ასკურავას ცენტრთან და Skype გაკვეთილების მეშვეობით ახორციელებდა ენის სწავლებას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიურ პროგრამებზე სწავლობდა 480 სტუდენტი, პროფესიულ პროგრამებზე 900-მდე, ხოლო ბიზნესის მიმართულებით 230-მდე სტუდენტი. ასევე აღინიშნა, რომ სამეგრელოს რეგიონში აღნიშნული სასწავლო უნივერსიტეტი გახლდათ ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტების რეკომენდაციებიდან გამომდინარე მათ სთავაზობდნენ მეტ თავისუფლებას, ხოლო დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ მკაცრი პირობები, რაც მისი მოსაზრებით ხარისხზე იყო ორიენტირებული. მას აინტერესებდა, თუ რით იყო მკაცრი რეგულაციები განპირობებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი სიმკაცრით უდგებოდნენ ყველა საკითხს რათა თავიდან აეცილებინათ შეცდომები, თუმცა სამომავლოდ უკვე შესაძლებელი გახლდათ მეტი თავისუფლებით ფუნქციონირება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სავარაუდოდ არსებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოდიფიცირების შემდგომ გადავიდოდა მილევად რეჟიმში. წარმომადგენელი დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას ვინაიდან იგეგმებოდა სრულიად ახალი პროგრამის შექმნა.

თავმჯდომარემ იკითხა თუ როგორ ხდებოდა პრაქტიკის კომპონენტის შუალედური შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იწერებოდა პრაქტიკის ანგარიში, ჰქონდათ შეფასების ფორმები, შუალედური შეფასება გახლდათ 30%. ექსპერტების რეკომენდაციით უმჯობესი იქნებოდა თუ აღნიშნული 30% იქნებოდა ჩაშლილი ცალ-ცალკე და მოხდებოდა რანჟირება. შეფასებას ახდენდა მენტორი, რომელიც აკონტროლებდა სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტუდენტების უმრავლესობა მუშაობდა ზუგდიდში არსებულ ორგანიზაციებში, ძირითადად ბანკებში და სწორად ადგილობრივი უნივერსიტეტის კადრებით იკვებებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ და გოდერძი ბუჩაშვილმა.

- უმჯობესი იქნებოდა, თუ, ერთი მხრივ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნებოდა დაწყებით საფეხურზე სწავლების სპეციფიკაც და მეორე მხრივ, პროგრამის სახელწოდება იქნებოდა არა „საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი“, არამედ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი. მითუმეტეს, რომ საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის მიხედვით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელთათვის საგნის გამოცდაზე მითითებული იყო „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ და გათვალისწინებული იყო სწავლების სამივე საფეხური;

- პროგრამის ხელმძღვანელობას და დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა განეხორციელებინათ ცვლილებები მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ფარგლებში. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სწავლების სპეციფიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა შეემუშავებინათ დამატებითი მოდული ცვლილებების შესაბამისად. ამასთანავე, დაწესებულების ადმინისტრაციას პროგრამაში განხორციელებული ყველა ცვლილება უნდა გაეცნო მოქმედი სტუდენტებისა და

სავალდებულო გაეხადა მათთვის პროგრამის გაგრძელება/დასრულება ცვლილებების გათვალისწინებით;

- პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსისათვის 5-5 (30-30 სთ) კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელფერს იძენდა და კარგავდა მის უშუალო დანიშნულებას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ რატომ იყო პროგრამაში დაყოფა და რატომ იყო მითითებული მხოლოდ საშუალო და საბაზო საფეხურები, ვინაიდან დაწყებითი საფეხურიც ითვალისწინებდა აღნიშნული პროფილით მასწავლებლის მომზადებას.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინარე კანონმდებლობით შესაძლებელი იყო მხოლოდ საშუალო და საბაზო საფეხურის მასწავლებლის მომზადება. დარგობრივი მახასიათებლის შეცვლის შემდგომ იყო მოთხოვნა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო სამივე საფეხური. აღსანიშნავი იყო, რომ წინა პროგრამა მოიცავდა დაწყებითი საფეხურის სწავლების მეთოდიკასაც, ოღონდ ნაწილობრივ შეტანილი გახლდათ არჩევით კურსებში ვინაიდან კანონმდებლობით მათ დაწყებითი საფეხურის სწავლების მეთოდიკის გათვალისწინების ვალდებულება არ ჰქონდათ. პროგრამის სტრუქტურა ეფუძნებოდა არა საფეხურებად სწავლებას, არამედ მიმართულებების მიხედვით. შესაბამისად, პროგრამის ამჟამინდელი მოდიფიკაციით მოხდა არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო კურსების გადმოტანა პედაგოგიურ და დარგობრივ ბლოკში, ხოლო ზოგიერთი კურსი გაერთიანებულ იქნა დარგობრივი ბლოკის სავალდებულო კურსებთან, მაგალითად: შრომითი სწავლების მეთოდიკა გაერთიანებული იყო დეკორატიული ხელოვნების სწავლების მეთოდიკაში, რის შედეგადაც გაზრდილ იქნა კრედიტების და საათების რაოდენობა. წარმომადგენლის მოსაზრებით მიმართულებების მიხედვით სწავლება უფრო კარგ შედეგს მისცემდა სტუდენტს. რაც შეეხებოდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებს ფაქტიურად ყველა მათგანი იქნა გაზიარებული. აღსანიშნავი იყო მხოლოდ მეხუთე რეკომენდაცია, რომელიც ნაწილობრივ იქნა გაზიარებული. კერძოდ, თეორიული საგნები დატოვებული იქნა 35 საათის მოცულობით ვინაიდან აპლიკანტებს უკვე ჰქონდათ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, მათ ჰქონდათ ჩაბარებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირება, შესაბამისად მათი ათვისების ხარისხი გახლდათ მაღალი და დამოუკიდებლად მუშაობის საკმარისი გამოცდილებაც ჰქონდათ.

ძირითადად პროგრამაზე ჩარიცხვის ინტერესს გამოთქვამდნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ახერხებდნენ სტუდენტები სწავლის და სამსახურის შეთავსებას, ვინაიდან მათი უმრავლესობა რეგიონებში ასწავლიდა დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური განრიგის მიხედვით მეცადინეოები ტარდებოდა დღის მეორე ნახევარში, სტუდენტებს დაქირავებული ჰქონდათ ბინა და ლექციის დღეებში რჩებოდნენ ქალაქში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



3. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გოჩა თუთბერიძემ და თამარ გაიხარაშვილმა.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და მათი შესრულების შესახებ.

- საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდა სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ფარმაციაში“, კურსის სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, უმნიშვნელო ნაწილი ეთმობოდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ძირითადად კი განიხილებოდა სოციალური ფარმაციის საკითხები. სასურველი იყო მომხდარიყო სსსწავლო კურსის მოდიფიცირება იმ ფორმით, რომ მასში მეტი ყურადღება დათმობოდა „ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ფარმაციაში“.

- სასწავლო უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭოს 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები ფარმაციაში“ ამოიღო სასწავლო გეგმიდან, რომელიც ჩანაცვლებული იქნა სასწავლო კურსით „პროექტის მენეჯმენტი“. აღნიშნული სასწავლო კურსი ითვალისწინებდა გარკვეული დოზით ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და თავისი შინაარსით უფრო მეტად პასუხობდა პროგრამით დასახულ მიზნებს. ამასთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება სტუდენტების სურვილიც გახლდათ, ვინაიდან არსებული ფორმით „ინფორმაციული ტექნოლოგიები ფარმაციაში“ სასწავლო კურსის

სწავლებაში მათ არ აძლევდათ დიდ სარგებელს. მითუმეტეს მათ შესაძლებლობა ჰქონდათ ბაკალავრიატის დონეზე შეესწავლათ პროგრამები, რომლებსაც იყენებდნენ ფარმაცევტული კომპანიები;

- საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებდა პრაქტიკას. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნდა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ყოფილიყო პროფესიული პრაქტიკის ელემენტი, აღნიშნულის შესახებ ყურადღება იყო გამახვილებული დამსაქმებლის მხრიდანაც.

პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ყოველი მათგანი იყო დასაქმებული კონკრეტულ ფარმაცევტულ კამპანიაში. მაგისტრატურაში აბარებდნენ ძირითადად ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც უკვე მუშაობდნენ ფარმაცევტებად ან მენეჯერებად. შესაბამისად, დაწესებულება ვერ ხედავდა აღნიშნული კუთხით პრაქტიკის კომპონენტის აუცილებლობას. გარდა ამისა, მათ სპეციალურ საგნებს უკითხავდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებიც იმავდროულად იყვნენ მენეჯერები და გადასცემდნენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკის ელემენტებით;

- სასურველი იყო სასწავლო უნივერსიტეტს გაეფართოებინა სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის არეალი და არ შემოფარგლიყო ლოკალური კონფერენციებით, მოეხდინა ინტეგრირება ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში და მიეღო მონაწილეობა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ფონდების მიერ შეთავაზებულ სტიპენდიებისა და გრანტების კონკურსებში;

- მონიტორინგის პროცესში ირკვეოდა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური აქტივობები ძირითადად გამოიხატებოდა ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, პრეზენტაციებში, სტუდენტურ ოლიმპიადებში და ა.შ. მონაწილეობით, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა მოხსენებები ქვეყნდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კრებულებში, რომელსაც გამოსცემდა სასწავლო უნივერსიტეტი;

- სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის კუთხით - უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ცენტრი. ცენტრის ორგანიზებით ევროპული სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 5 უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტური კონფერენცია. აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებში. ცენტრი ყოველწლიურად უზრუნველყოფდა რეგულირებული სამეცნიერო ნაშრომების კრებულის და ჟურნალების გამოცემას, სადაც იბეჭდებოდა პროფესორ მასწავლებლების და წარმატებული სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სასურველი იყო სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას. სასურველი იყო უნივერსიტეტს განეხილა საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით, შესაბამისი დარგობრივი ბაზებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მონიტორინგის პროცესში გაირკვა, რომ აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ცვლილებები იყო განხორციელებული რომელიც ძირითადად შეეხებოდა ახალ სასწავლო კურსებს. ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრები (სტუდენტებისათვის კომპიუტერებსა და ინტერნეტზე თავისუფალი წვდომა), საკონფერენციო დარბაზი.

ექსპერტმა აგრეთვე დააფიქსირა მონიტორინგის ვიზიტის დროს შემუშავებული რეკომენდაციები:

- უმჯობესი იქნებოდა, თუ განხორციელდებოდა სილაბუსების მოდიფიკაცია ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო რეალურად B2.2 დონის ცოდნის მიღწევა. ამისათვის საჭირო იყო გაზრდილი ყოფილიყო საკონტაქტო საათები სტუდენტებისათვის კვირაში მინიმუმ 4 საათის მოცულობით და ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2 სახელმძღვანელოდ განსაზღვრული ყოფილიყო B2.1 და B2.2 დონის შესატყვისი სახელმძღვანელოები;

- მიზანშეწონილი იყო პროგრამაში „უცხო ენის“ ნაცვლად პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებული ყოფილიყო ინგლისური ენა, რაც მიღების წინაპირობას უფრო გამჭვირვალეს გახდიდა;

- მონიტორინგის ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სტუდენტის ცოდნის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის შესახებ ნათელი მითითება ყოფილიყო გაკეთებული, როგორც პროგრამაში ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში;

- სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების კომპონენტების ნაწილში ადგილი ჰქონდა რაოდენობრივ უზუსტობებს, რომლებიც საჭიროებდნენ რედაქტირებას;

- ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას განეხორციელებინა შრომის ბაზრის კვლევა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განეხილა მისაღები კონტიგენტის გაზრდის ღონისძიებები.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა, მათი დაყოფა განხორციელდა ორ ჯგუფად: ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის მიხედვით. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაზრდილიყო საათობრივი ბაღე და ასულიყვნენ რეკომენდაციით გათვალისწინებულ დონეზე. დოკუმენტაცია უკვე მზად იყო და შეეძლოთ უზრუნველყოთ ცენტრში მისი წარმოდგენა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა სასწავლო უნივერსიტეტში. წარმომადგენლის განცხადებით უნივერსიტეტში ირიცხებოდა 700-მდე სტუდენტი; ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრამაზე არსებული პერიოდისათვის ირიცხებოდა სამი მაგისტრანტი, ჰყავდათ თერთმეტი კურსდამთავრებული, მათგან ათი იყო დასაქმებული. ნანა შათაშვილი დაინტერესდა თუ რატომ ჰყავდათ ცოტა სტუდენტი აღნიშნული მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტის სტრატეგია ორიენტირებული იყო ბაზრის გაზრდაზე, თავდაპირველად პროგრამა ხორციელდებოდა გორში, თუმცა მათ ჰქონდათ სასწავლო კორპუსი თბილისში და იგეგმებოდა პროგრამების რაღაც ნაწილის დედაქალაქში გადატანა.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა, პროგრამის განმახორციელებელი ლექტორები თბილისიდან მოწვევულები იყვნენ, თუ ადგილობრივი აკადემიური პერსონალით იყო დაკომპლექტებული პროგრამა.

წარმომადგენლის განცხადებით, ლექტორები ჰყავდათ, როგორც თბილისიდან ასევე გორიდან. კონკრეტულად ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელება ხდებოდა გორში, ვინაიდან რეგიონის თვალსაზრისით ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა ჰქონდა მხოლოდ მათ უნივერსიტეტს.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა ვინ იყო სუბიშვილი და რა იგულისხმებოდა ევრორეგიონულში. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი დაარსებულ იქნა ვალერიან და ეკა სუბიშვილების მიერ, შემდგომ განხორციელებული იქნა სასწავლო უნივერსიტეტის რეზრენდინგი და შეეცვალა სახელწოდება. საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა მაშინ, როდესაც იგი გახლდათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, შემდეგ მას მოუწია სასწავლო უნივერსიტეტთან კონტაქტი და ჰქონდა საკმაოდ დადებითი შთაბეჭდილება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის აკადემიური პერსონალით, კერძოდ აღნიშნული რვა ლექტორი იყო მხოლოდ ფარმაცევტი თუ სხვა პროფესიის მქონე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რვა ლექტორიდან სამი გახლდათ ფარმაცევტი, ხოლო დანარჩენი ეკონომისტები და იურისტები.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს და ჰკითხა მოხდა თუ არა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ ადგილზე გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია, რაც დაწესებულებას დოკუმენტურადაც ჰქონდა წარმოდგენილი და სხდომის დასრულების შემდეგ ჩააბარებდა ცენტრს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა.

ექსპერტმა პირველ რიგში საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას სრულად ჰქონდა გათვალისწინებული.

- მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სასწავლო კურსების მოდულებში სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობა მეტ-ნაკლებად ოპტიმალური იყო და ფორმალურად უზრუნველყოფდა სტუდენტისათვის შესატყვისი მოცულობის ბაზისური ცოდნის მიცემას, კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გაცნობის შემდეგ შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც რეკომენდირებული იყო პროგრამის წყობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც მეტად ოპტიმალურს გახდიდა სასწავლო პროცესს ათვისებული ბაზისური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მოცულობის და ზოგადობის თვალსაზრისით. კერძოდ: ვინაიდან პროგრამის სავალდებულო კურსებს სტუდენტისათვის უნდა მიეცა ზოგადი და ბაზისური დარგობრივი ცოდნა, მიზანშეწონილი იქნებოდა სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან ისეთი კურსების ამოღება და არჩევითში გადატანა, რომლებიც ფსიქოლოგიის სფეროში სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. მაგალითად: ისეთი კურსები, როგორიც იყო ნეიროფსიქოლოგია, პათოფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოდიანგნოსტიკა,

ფსიქოთერაპია და ფსიქოკონსულტაცია სწორედ აღნიშნული კურსების რიცხვში შედიოდა. ამიტომ მათი გადატანა არჩევითი კურსების ჩამონათვალში სრულიად გამართლებული იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი, საკუთარი მოსაზრებებისა და ინტერესების მიხედვით, შეძლებდა ისეთი კურსების არჩევას ან არ არჩევას, როგორც იყო მაგალითად: ფსიქოლოგიური კონსულტირების საკითხები ან ნეიროფსიქოლოგი. გარდა ამისა სავალდებულო კურსების სიაში შეტანილი იყო სოციოლოგიის საფუძვლები, რომელსაც სტუდენტები პირველივე წელს გადიოდნენ და სრულიად არ წარმოადგენდა სპეციალობის საგანს. ამიტომ მისი გადატანაც რეკომენდირებული იყო არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

- პროგრამის აღწერაში დეკლარირებული იყო პროგრამის აგების პრინციპები „ზოგადიდან კერძოსკენ“ და „მარტივიდან რთულისკენ“, სასურველი იყო პროგრამის სტრუქტურა ბოლომდე გაჰყოლოდა აღნიშნულ პრინციპს;

- მიზანშეწონილი იყო სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შესულიყო მხოლოდ ბაზისური კურსები (რომლებიც ფაქტობრივად ყველა წარმოდგენილი იყო პროგრამაში) უფრო ვრცელი სახით, ანუ ბაზისური კურსები უნდა ყოფილიყო შედგენილი პირველი და მეორე ნაწილისაგან, როგორც ეს განვითარების ფსიქოლოგიის ან სოციალურის შემთხვევაში იყო მოცემული. მართებული იქნებოდა თუ პროგრამის სავალდებულო კურსების ნუსხაში შეტანილი იქნებოდა მაგალითად: კოგნიტიური ფსიქოლოგია 1 და 2, განწყობის ფსიქოლოგია 1 და 2, კვლევის მეთოდები 1 და 2, პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2.

- მიზანშეწონილი იქნებოდა ზოგიერთი კურსის მიწოდების თანმიმდევრობის მოდიფიცირება. მაგალითად: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია პირველი დონის ბაზისური კურსი გახლდათ, რომელიც მეოთხე სემესტრში უნდა მიწოდებოდა სტუდენტს, ხოლო ნეიროფსიქოლოგია გახლდათ მესამე დონის სპეციალიზირებული კურსი, რომლის შეთავაზებაც შედარებით მოგვიანებით იყო მიზანშეწონილი. წარმოდგენილ პროგრამაში ნეიროფსიქოლოგია მეხუთე, ხოლო შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია მერვე სემესტრში იყო გაწერილი. რეკომენდირებული იყო თანმიმდევრობის შეცვლა და მარტივიდან რთულისკენ და ზოგადიდან კერძოსკენ პრინციპის დაცვა, რაც სტუდენტებს გაუადვილებდა ცოდნის ათვისებას და დარგობრივ სპეციფიკაში გარკვევას.

- განვითარების ფსიქოლოგია, რომელიც ერთ-ერთ ბაზისურ კურსს წარმოადგენდა და მოცემული იყო ორ ნაწილად, ფარავდა ადამიანის განვითარების მხოლოდ ნაწილს, კერძოდ, ორი სემესტრის ბოლოს სტუდენტმა იცოდა მხოლოდ მოზარდობის პერიოდის ჩათვლით განვითარების დინამიკა და თავისებურებები. ორივე კურსი ერთად არ ფარავდა მოზარდობის შემდგომ პერიოდს. მაგალითად: მასში არ იყო განხილული თანამედროვე ფსიქოლოგიაში აქტიურად დამუშავებადი და კვლევადი თემები, როგორც იყო იდენტობის ფორმირება, ფორმირებადი მოზრდილობის ხანა, გენერაციულობის საკითხები შუა ხნის მოზრდილებში, გვიანი მოზრდილობა, დაბერება და ა.შ. ფაქტობრივად ორსემესტრიანი კურსი ფარავდა განვითარებას დაბადებიდან ვიდრე 16-17 წლამდე და დანარჩენი ცხოვრება განხილვის მიღმა რჩებოდა. ამიტომ რეკომენდირებული იყო ორსემესტრიან კურსში ადამიანის განვითარების სრული ციკლის განხილვა, რაც სრულიად შესაძლებელი და დაძლევადი იყო განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2 -ის ფარგლებში.

- კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების ჩამონათვალში ეწერა, რომ: შეძლებდა მუშაობას მარკეტინგულ ქსელებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში. აღნიშნული კომპეტენციის შეძენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმ ერთადერთი ხუთკრედიტიანი ბაზისური კურსის ფარგლებში, რომელიც სწავლების მერვე სემესტრში შეეთავაზებოდათ სტუდენტებს (შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია). აღნიშნული

კურსი მხოლოდ ბაზისურ ცოდნას მისცემდა მათ დარგის შესახებ. იმისათვის, რომ სტუდენტს აღნიშნული კომპეტენციები შეეძინა და შეეძლო დასახელებულ ორგანიზაციებსა თუ პოზიციაზე მუშაობა, რეკომენდირებული იყო აღნიშნული კურსის სწავლების მესამე-მეოთხე სემესტრში გადატანა და შემდგომ არჩევითი კურსებით ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება. აღნიშნული მიმართულებიდან არჩევით კურსებში სტუდენტებს შეეთავაზებოდათ მაგალითად: რეკლამის ფსიქოლოგია და მართვის ფსიქოლოგია, თუმცა ეს კურსები უფრო ადრე იყო გათვალისწინებული პროგრამაში, ვიდრე ბაზისური ზემოაღნიშნული კურსი.

- ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგებში დეკლარირებული იყო, რომ სტუდენტი შეძლებდა ემპირიული მონაცემების შეგროვებას, მცირე მოცულობის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებას და ასევე, მას ევალებოდა ემპირიული კვლევის განხორციელება საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში, რეკომენდირებული იყო პროგრამაში აღნიშნული კომპონენტის გაძლიერება. კერძოდ, ლოგიკური იქნებოდა რომ პროგრამაში სათანადოდ ყოფილიყო წარმოდგენილი კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა დამუშავება-ანალიზის კურსები. მოცემულ მომენტში პროგრამაში აღნიშნული მიმართულებიდან შეტანილი იყო ხუთკრედიტიანი კურსი „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში (SPSS)“, რომელიც სტატისტიკისა და SPSS-ის შესახებ ბაზისურ ცოდნას იძლეოდა (მერვე სემესტრში) და ხუთკრედიტიანი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (მეხუთე სემესტრში). ფაქტობრივად, პროგრამის ამჟამინდელი მდგომარეობით გამოდიოდა, რომ სტუდენტები ორ სემესტრში (და ორი კურსის ფარგლებში) სწავლობდნენ კვლევის წარმოების პრინციპებს, ძირითად სამუშაო ჩარჩოებს, ფსიქოლოგიაში წარმოებულ კვლევაში მონაცემთა შეგროვების ძირითად რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, მათ მოწესრიგება-დამუშავებას, პროგრამულად SPSS-ში შეტანა-დამუშავებას, ინტერპრეტაციას, ანალიზსა და ანგარიშის დაწერას. ცხადი იყო რომ, სრულიად შეუძლებელი იყო აღნიშნული მოცულობის მასალისა და უნარ-ჩვევის ორი ხუთკრედიტიანი კურსის ფარგლებში ათვისება. მით უმეტეს, რომ კომპეტენციებში დეკლარირებული იყო, რომ: „შეძლო ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი“ და დასაქმების სფეროების ჩამონათვალში ეწერა, რომ: „შეძლებდა მუშაობას კვლევით ორგანიზაციებში“.

- რეკომენდირებული იყო სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ჩართული კვლევის მეთოდების კურსის განვრცობა და შინაარსის არსებითად მოდიფიცირება. ამჟამინდელი მდგომარეობით ეს ხუთკრედიტიანი კურსი მოიცავდა მეთოდების მთელი რიგის სწავლებას, რომელთაგან ნაწილი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები იყო, ხოლო ფსიქოლოგიაში გამოყენებული სპეციფიკური მეთოდების ჩამონათვალი იმდენად გრძელი იყო და შემჭიდროვებულად მიწოდებული, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი იყო მოკლე დროში ამდენი საკითხის დაფარვა.

- ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებში იკითხებოდა სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, რაც კურსის დასახელებისა და შინაარსის აცდენას იწვევდა. მაგალითად, მეექვსე კვირაში განსახილველი თემა იყო „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები -კვლევის ეტაპები,მეცნიერული გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვის სახეები და ქვესახეები“, ხოლო მერვე კვირას -- „მასობრივი გამოკითხვა - მასობრივი გამოკითხვის სახეები და ტიპები, ინტერვიუ, ანკეტირება“ და მეცხრე კვირას. „შედარებითი და ისტორიული კვლევის მეთოდი“. დასახელებული საკითხები და მეთოდები სრულიად არარელევანტური იყო ფსიქოლოგიის ფარგლებში წარმოებული კვლევებისთვის. თუმცა, ვინაიდან ძირითად ლიტერატურად

გამოყენებული იყო კობა ნონიაშვილის სახელმძღვანელო „კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში“, გასაგები ხდებოდა კურსის ასეთი შინაარსი.

- ფსიქოლოგიის ფარგლებში გამოყენებადი მეთოდების სიმრავლე და დროის სიმცირე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თითოეული მეთოდის ათვისების ხარისხს. მაგალითად, XII კვირა ეთმობოდა თემას: „კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები -- დღიური, დღიურის ტექნიკის უპირატესობები, დღიურის ტიპები, კონტენტ-ანალიზი, კონტენტ-ანალიზის კომპონენტები, კონტენტ-ანალიზის სახეები, ექსპერიმენტი.“ თუ კურსის მიზანი მხოლოდ არსებული მეთოდების თეორიული მიმოხილვა იყო და არა მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება, მაშინ სრულიად საკმარისი იყო ერთი კვირა აღნიშნული ჩამონათვალისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში არარეალური ხდებოდა ერთ კვირაში აღნიშნული მეთოდების ათვისება.

- კურსის მეცამეტე კვირაში წარმოდგენილი იყო თემები: „მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გაფორმება-სტატისტიკური და პარამეტრული მონაცემები, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა, მონაცემთა წარმოდგენა, ფსიქოლოგიური კვლევის გაფორმება“. ჩამოთვლილი საკითხები არ წარმოდგენდნენ კვლევის მეთოდების კურსისთვის რელევანტურ თემებს და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ერთ კვირაში აღნიშნული რაოდენობის საკითხების ათვისება.

- სწავლის შედეგებში ეწერა, რომ სტუდენტს ეცოდინებოდა (1) კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიც იყო აღწერითი, კორელაციური და ახსნითი, რაც თემების ჩამონათვალში არსად ჩანდა; (2) ისეთი მეთოდები და ტექნიკები, როგორიც იყო ექსპერიმენტი, ტესტირება, სოციომეტრია და ფსიქომეტრიკა, სკალირება, გამოკითხვა, პროექციული მეთოდები, ტრენინგები, სტატისტიკური მეთოდები. პროგრამის შინაარსში არსად არ იყო ნახსენები, სოციომეტრია, სკალირება, პროექციული მეთოდები და ტრენინგები. გარდა ამისა, ფსიქომეტრიკა, ტრენინგები და სტატისტიკური მეთოდები საერთოდ არ გახლდათ კვლევის მეთოდი. ამრიგად, რეკომენდებული იყო: (1) კურსისთვის მეტად ადეკვატური ლიტერატურის მოძიება და შერჩევა; (2) კურსის შინაარსის დასახელების შესატყვისად გადაწყობა; (3) კურსის ორსემესტრიან კურსად გადაკეთება (იხ. ზემოთ); (4) რეალურად ათვისებადი რაოდენობის საკითხების შეტანა კურსში იმგვარად, რომ სტუდენტებს კურსის ფარგლებში რეალურად მიეღოთ როგორც თეორიული ცოდნა, ისე -- პრაქტიკული უნარ-ჩვევები; (5) კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოსულიყო ერთმანეთთან. რეკომენდებული იყო კურსის „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში (SPSS)“ ორ კურსად -- სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის და SPSS-ში მუშაობის ძირითადი პრინციპები (ან ნებისმიერი დასახელება, რომელიც საფუძვლებს ასახავდა) -- დაშლა. ამასთან, პირველი სავალდებულო კურსების ნუსხაში შესულიყო, ხოლო მეორე -- არჩევითებში და სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით აირჩევდა (ან არ აირჩევდა) მას.

- არსებული მდგომარეობით ერთსემესტრიანი კურსი, რომელიც წამოდგენილი იყო აკრედიტაციის ვიზიტის დროს, როგორც სილაბუსიდან ჩანდა, ფარავდა სტატისტიკის და SPSS-ში მუშაობის საკითხებს, თუმცა ზუსტად არ ჩანდა, რა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენდნენ სტუდენტები, ვინაიდან სალექციო თემები გაწერილი იყო სტატისტიკის საკითხებით და მხოლოდ ჯგუფურ მუშაობაში იყო მოცემული სტანდარტულად „სტატისტიკა SPSS-ის გამოყენებით. ამოცანა SPSS-ისათვის. სავარჯიშოები.“ აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა მეტად თვალსაჩინოდ ყოფილიყო აღწერილი სილაბუსში რას და როდის სწავლობდნენ და აკეთებდნენ სტუდენტები.

- კარგად არ ჩანდა, რა ლოგიკა ედო საფუძვლად კურსის შინაარსის დალაგებას, კერძოდ, არათანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტები. მაგალითად, მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის ტექნიკებისა და ცენტრალური ტენდენციის საზომების (აღწერითი სტატისტიკა) შემდეგ სტუდენტები პირდაპირ დისპერსიულ ანალიზს (დასკვნითი სტატისტიკა) ეცნობოდნენ, შემდეგ უბრუნდებოდნენ აღწერით სტატისტიკას ვარიაციის საზომებისა და განაწილებების სახეების განხილვით. ასევე, არათანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი არაპარამეტრული საზომების განხილვა (თემა 11, 12, 13), თუმცა საერთოდ არსად არ იყო სტუდენტებისთვის განმარტებული სტატისტიკისთვის და, ასევე, SPSS-ში მუშაობისათვის ისეთი ბაზისური საკითხები, როგორც იყო გაზომვის სკალები, პარამეტრული და არაპარამეტრული მონაცემები, სტატისტიკური მოდელის აგების მიზანი და პრინციპები, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა, სტატისტიკური სიდიდე და ა.შ. სასურველი იქნებოდა, თუ კურსის შინაარსი თანმიმდევრულად, მზარდი სირთულით მიაწოდებდა სტუდენტებს ცოდნას სტატისტიკის ბაზისური საკითხების შესახებ და გამოუმუშავებდა მიღებული თეორიული ცოდნის ოპერაციონალიზაციის, პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.

- კურსის სილაბუსში აღწერილი კომპეტენციები და შინაარსი არათავსებადი იყო ერთმანეთთან. მაგალითად, სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „SPSS მეთოდის გამოყენებით რთული და დიდი მოცულობის ბაზების დამოუკიდებლად დამუშავება.“ პირველ რიგში, SPSS არ გახლდათ მეთოდი; მეორე, სილაბუსში წარმოდგენილი საკითხების დაფარვის შემდეგ სტუდენტი ნამდვილად ვერ შეძლებდა რთულ და დიდი მოცულობის ბაზებთან მუშაობას, არათუ -- დამოუკიდებლად მუშაობას; მესამე, დასახელებული შედეგები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება იყო და არა -- ცოდნა-გაცნობიერება, როგორც ეს სილაბუსში იყო მითითებული. გარდა ამისა, სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს შეეძლებოდა „სხვადასხვა ტიპის აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება“. პირველი, აღწერითი ანალიზი უბრალოდ ნონსენსი იყო; მეორე, სტუდენტები, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, საერთოდ არ სწავლობდნენ, რომ არსებობდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა; მესამე, „სხვადასხვა ტიპის“ ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირება იყო და კონკრეტულად არ მიუთითებდა რა ტიპის სამუშაოს შესრულებას შეძლებდა სტუდენტი. დასკვნის უნარში ეწერა: „სტუდენტს ექნებოდა უნარი განესაზღვრა სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ასევე მზა რაოდენობრივი მონაცემებით ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი.“ გაუგებარი იყო, რა კომპეტენციას იძენდა სტუდენტი. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებული იყო: (1) კურსის შინაარსის უფრო დეტალურად გაწერა, რაც შესაძლებელს გახდიდა, თვალსაჩინო ყოფილიყო, რას, როდის და როგორ აკეთებდნენ და სწავლობდნენ სტუდენტები კურსის ფარგლებში; (2) კურსის თემატურად/შინაარსობრივად ლოგიკურად დალაგება პრინციპით ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ; (3) სტატისტიკის ბაზისური საკითხებისა და ცნებების სწავლება კურსის ფარგლებში; (4) სწავლის შედეგებისა და კურსის შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- რიგ შემთხვევებში სრულიად არასაკმარისი და ძალზე მცირე მოცულობის მასალა ეძლეოდათ სტუდენტებს წასაკითხად. მაგალითად, ფსიქოდიანოსტიკის კურსში სტუდენტებს მეოთხე კვირას მხოლოდ ოთხი (4) გვერდი ჰქონდათ წასაკითხი, ფსიქოკონსულტირებაში -- XIII კვირას ხუთი (5) გვერდი და XVI კვირას მხოლოდ ორი (2) გვერდი, რაც ნამდვილად არასაკმარისი იყო შესაბამის კვირებში განხილული საკითხების ასათვისებლად.

- ზოგ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა და კურსი არ შეესატყვისებოდა ერთმანეთს. მაგალითად, ფსიქოდიანოსტიკის სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად მითითებული იყო ორი წყარო: გერიგი-ზიმზარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ და ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. პირველი სახელმძღვანელო პირველი დონის კურსის საკითხავ მასალას მოიცავდა და, როგორც წესი, ფსიქოლოგიის შესავლის ან ფსიქოლოგიის საფუძვლების სწავლებისთვის გამოიყენებოდა, ხოლო მეორე გახლდათ ენციკლოპედია, რომელიც ნამდვილად ვერ იქნებოდა საკმარისი ისეთი სპეციფიკური კურსისთვის, როგორიც ფსიქოდიანოსტიკაა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებული იყო საკითხავი ლიტერატურის გამდიდრება-გამრავალფეროვნება და ადეკვატურად შერჩევა პროგრამაში ჩართული კურსების სწავლებისთვის. ქართულ ენაზე ფსიქოლოგიური ლიტერატურის არც თუ ისეთი მდიდარი არჩევანი თავად აკადემიური პერსონალის მხრიდან საკითხავი მასალის (რიდერების) აკუმულირების აუცილებლობას ქმნიდა, რაც დამკვიდრებული პრაქტიკა იყო ქართულ უნივერსიტეტებში და რეკომენდებული იყო აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებაც.

- რეკომენდებული იყო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კვირების მიხედვით გაწერილი თემატიკის გადასინჯვა და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება. სტუდენტი მესამე კვირას იძიებდა თეორიულ და ემპირიულ მასალას, მეოთხე კვირას ლიტერატურას და მასალებს ამუშავებდა, მეხუთე-მეექვსე კვირას კვლევას ატარებდა, მონაცემებს ამუშავებდა და დასკვნები გამოჰქონდა, ხოლო ამის შემდეგ იწყებდა ნაშრომისთვის მეთოდების არჩევას და მისი პრაქტიკული და თეორიული ღირებულების განსაზღვრას. უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ სტუდენტს ჯერ კვლევის პროექტი მოეზადებინა, რაც საკითხის განსაზღვრას, აქტუალობის დასაბუთებას, კვლევის დიზაინის, მეთოდებისა და მონაწილეების შერჩევას და ა. შ. მოიცავდა, შემდეგ ჩაეტარებინა კვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია-ანალიზი და ბოლოს ნაშრომის გაფორმება.

- მთლიანად პროგრამისა და მასში ჩართული კურსების სილაბუსების დეტალური გაცნობის საფუძველზე რეკომენდებული იყო პროგრამის, როგორც ერთი მთლიანის, ხელახალი გააზრება, მისი მიზნების, შინაარსისა და შედეგების მეტად ჰარმონიზაცია და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფს ამ ეტაპზე არ შეუმუშავებია ახალი რეკომენდაციები პროგრამის სტრუქტურის, შინაარსისა თუ განხორციელების მიმართულებით, ვინაიდან ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, ერთი მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და მეორე მხრივ, ექსპერტების პროფესიული პოზიციების განსხვავებულობა, ფსიქოლოგიის სხვადასხვა (ძველი-ახალი) სკოლისადმი მიკუთვნებულობიდან გამომდინარე, რაც საფუძვლად დაედო მათ შორის ტერმინოლოგიურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ განსხვავებას. შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაითვალა მონიტორინგის პროცესის ახალი რეკომენდაციების გარეშე დასრულება. სასურველი იყო, აკრედიტაციის წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული და ამჟამად ჯერ კიდევ შეუსრულებელი რეკომენდაციების გათვალისწინება.

ექსპერტ ლილი ხეჩუაშვილის განცხადებით პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა ორი წლის წინ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა თინათინ ჭინჭარაულთან ერთად. მან აღნიშნა, რომ ადგილზე მათ დახვდათ შეცვლილი დოკუმენტაცია და არა წინასწარ გადმოგზავნილი მასალა. შესაბამისად თავიდან მოუწიათ მასალებთან გაცნობა. დაფიქსირდა ერთგვარი დაძაბულობა ექსპერტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ვინაიდან ვერ შეთანხმდნენ კონცეპტუალურ საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა ფსიქოლოგიის სხვადასხვა

სკოლის მიკუთვნებულობის საკითხს. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტზე დაფიქსირდა ანალოგიური სიტუაცია, ამიტომ მათი დასკვნა გახლდათ წარმოდგენილი რეკომენდაციების გარეშე ვინაიდან მიიჩნიეს, რომ ჯერ კიდევ გასათვალისწინებელი იყო აკრედიტაციის მინიჭების დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები და რეკომენდაციები, თუმცა მათი უმრავლესობა დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულ იქნა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პირვანდელი აკრედიტაციის დროს ახალი დაწყებული გახლდათ მუშაობა პროგრამის განვითარებაზე, რეკომენდაციები იყო საკმაოდ რთული, მაგრამ დაწესებულებამ სცადა აღნიშნული პროგრამის კონცეფცია აწყოილი ყოფილიყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე. არჩევითი კურსების რაოდენობა გაზრდილი იქნა დაახლოებით ორჯერ, შესაბამისად სავალდებულო კურსების მოდული შემცირდა, ხოლო არჩევითი მოდულები დაყოფილი იქნა კონცენტრაციებად, კლინიკური ფსიქოლოგიით დაინტერესებული სტუდენტები წავიდოდნენ ცალკე მიმართულებით, სოციალური ცალკე და შრომისა და ორგანიზაციის ცალკე. წელს დამატებულ იქნა მეოთხე - განათლებისა და განვითარების მოდული. თითოეულ კონცენტრაციას ჰქონდა სპეციფიური კურსები, თავისი პრაქტიკით და საბაკალავრო ნაშრომის თემაზე გაკეთდებოდა აღნიშნული კონცენტრაციების მიხედვით. სასკოლო ტერმინოლოგიის დამატება განპირობებული იყო იმით, რომ ფსიქოლოგისათვის იხსნებოდა წაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმების ბაზარი. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, ქართულენოვანი მასალა იყო საკმაოდ მწირი, რაც განაპირობებდა ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებას და თვალის დახუჭვას რუსულენოვან წყაროებზე. აგრეთვე გარკვეული მუშაობა გასწიეს რიდერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში შექმნილი იყო ორი რიდერი, მუშავდებოდა კიდევ სამი, სალექციო მასალა იყო დამუშავებული ქართულ ენაზე - ფსიქოლინგვისტიკის და ფსიქოკონსულტირების. ასევე სხვადასხვა კურსებში ნათარგმნი იყო მასალის გარკვეული ნაწილები. დაწესებულებამ ასევე გააუმჯობესა საბაკალავრო ნაშრომების და სტატიების დონე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა დღეს იყო უფრო გააზრებული, დალაგებული და ლოგიკურად აწყობილი კურსების მიხედვით ვიდრე ორი წლის წინ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მათ ასევე შეცვალეს უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია, სტუდენტებს უცხო ენას სთავაზობდნენ ხუთი სემესტრის მანძილზე. აღნიშნული მათ მისცემდათ საშუალებას ზედა კურსებზე შეეთავაზებინათ უცხოენოვანი მასალა.

ექსპერტის განცხადებით ფსიქოლოგიის სწავლების პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩართულ აკადემიურ პერსონალს და თავად კვლევებს ჰქონდა სივრცის პრობლემა, რაც გულისხმობდა ინფორმაციის ნაკლებობას. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ რაც კეთდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ იყო ხელმისაწვდომი სხვა უნივერსიტეტებისათვის პირად კონტაქტებს თუ არ ჩავთვლით, შესაბამისად ვერ იქმნებოდა ერთიანი სივრცე.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ არსებობდა ლიტერატურა რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი ავტორის ნებართვის გარეშე, შესაბამისად მასალის მოპოვება ხდებოდა ერთგვარი შინაურული კონტაქტების მეშვეობით.

ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ექსპერტის განცხადებით ჯგუფი კონცეპტუალურად არ ეთანხმებოდა პროგრამის განხორციელების მექანიზმებს, კერძოდ ლიტერატურა გახლდათ ძველი და დასძინა, რომ საინტერესო იყო შენიშვნა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განცხადებით, მთლიანად პროგრამა სტრუქტურის და ლოგიკის თვალსაზრისით იყო დალაგებული, საუბარი ეხებოდა მხოლოდ შინაარსობრივ მხარეს, თუმცა არა ყველა კურსზე. საკითხი ეხებოდა საბაზისო კურსების სახელმძღვანელოებს. კერძოდ, ის სახელმძღვანელოები, რომლითაც ხორციელდებოდა სწავლება მაგალითად ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში გახლდათ განსხვავებული ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში გამოყენებული სახელმძღვანელოებისაგან, ვინაიდან ისინი განსხვავებულ სახელმძღვანელოებს ანიჭებდნენ უპირატესობას, მაგალითად: ზიმბარდოს სახელმძღვანელოს ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყენებდა ბაკალავრიატში საბაზისო ლიტერატურად, როდესაც სხვა უნივერსიტეტში აღნიშნული სახელმძღვანელო ჩადებული იყო დამხმარე ლიტერატურის სახით. ექსპერტის განმარტებით, მაგალითად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ აგებდა ფსიქოლოგიის პროგრამას მხოლოდ უზნადის ქართულ ფსიქოლოგიაზე, ხოლო აღნიშნული სასწავლო უნივერსიტეტი მხოლოდ ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას, რაც საბაკალავრო პროგრამისთვის არ იყო მიზანშეწონილი, ვინაიდან სტუდენტებს ფსიქოლოგიის შესახებ უნდა ჰქონოდათ სფეროს ფართო ცოდნა და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულების.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ნამდვილად არ იყო აგებული მხოლოდ უზნადის ქართული ფსიქოლოგიის ბაზაზე, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო არ იქნებოდა ცუდი. გერმანიის არაერთ უნივერსიტეტშიც კი ისწავლებოდა განწყობის ფსიქოლოგია. სასურველი იყო სტუდენტს ესწავლა უზნადის ფსიქოლოგიის საწყისებზე ქართულ ენაზე შექმნილი ლიტერატურით. მისთვის ასევე გაუგებარი იყო ახალი და ძველი სკოლის ცნება და შინაარსი. დაწესებულებამ იცოდა ექსპერტის პოზიცია, აგრეთვე სხვა უნივერსიტეტის მიდგომები, თუმცა თვლიდა სახელმძღვანელოების არჩევა მიეკუთვნებოდა აკადემიური თავისუფლების საკითხს. მათ არ მიაჩნდათ, რომ პროგრამის ფარგლებში გამორჩენილი იყო მნიშვნელოვანი თემები და საკითხები.

16:50 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით არსებული სახით პროგრამა გაიყვანდა თუ არა სტუდენტს სწავლის შედეგებზე. ექსპერტის განცხადებით პროგრამის შინაარსი ხელს შეუშლიდა საბოლოო შედეგის მიღწევას, ვინაიდან თანამედროვე ფსიქოლოგია გახლდათ ემპირიული მეცნიერება, რომელიც ემყარებოდა ემპირიული კვლევის მონაცემებს; კვლევის დამუშავების და ინფორმაციის მიღების პროცესი არ იყო მიზნული არცერთ თეორიაზე. თეორია შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული შედეგების ინტერპრეტაციისათვის. საბაზისო და ფართო ცოდნა რომელიც უნდა მიეღო ბაკალავრს, ემყარებოდა ემპირიას, შემდგომ თეორიებს და არა ერთ რომელიმე კონკრეტულ თეორიას.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს დაეფიქსირებინა თუ რა გახლდათ მონიტორინგის ჩატარების საფუძველი. ცენტრის წარმომადგენლის, ქეთევან ინანაშვილის განმარტებით, როდესაც პროგრამას ორი წლის წინ მიენიჭა აკრედიტაცია, მაშინ საბჭოს ექსპერტთა შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩათვალა პროგრამა გადამოწმებულიყო მონიტორინგის გზით. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება გამოიცა 2017 წლის 13 აპრილს. ბრძანების გამოცემიდან 90 კალენდარული დღის ვადაში უნდა დასრულდეს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო 2017 წლის 10 ივლისამდე დაწესებულებას შენიშვნების გამოსასწორებლად მისცემოდა ვადა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა და დაწესებულებას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა განესაზღვროს 2017 წლის 10 ივლისამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს იმ სხდომაზე, რომელზეც მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა, საბჭო დამოუკიდებელი ექსპერტების სახით მოიწვევდა ფსიქოლოგიის ექსპერტს, რათა მასაც დაეფიქსირებინა თავისი ობიექტური მოსაზრება პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

5. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და ნინო ჩიქოვანმა.

ექსპერტის განცხადებით წინა ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, სწავლა-სწავლების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა მომხდარიყო მისაღწევი შედეგების მიხედვით, გათვალისწინებულ იქნა და თითოეულ სილაბუსში მეთოდების გარკვეული ჩამონათვალი მორგებული იყო კურსის შინაარსსა და სპეციფიკას. თუმცა თითოეულ სილაბუსში სწავლა-სწავლების ერთი და იგივე ფორმები და მეთოდები იყო ჩამოთვლილი. ამასთან მეთოდების ჩამონათვალი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-3 ბრძანების 1¹ მუხლთან. აგრეთვე პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ორსემესტრიანი იყო და ერქვა პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებშივე გადმოტანილ იქნა ბოლო სემესტრში. თუმცა, ის კვლავ გამიჯნული იყო. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომ პრაქტიკის კომპონენტი მოქცეულიყო ერთ საერთო ჭრილში, დარქმეოდა მას პრაქტიკა და ამასთან პრაქტიკა 1-ზე, ანუ პრაქტიკის დასაწყისის დაშვების წინაპირობა სწავლების მეთოდების გარდა, განსაზღვრულიყო ისეთი კურსები, როგორიც იყო მაგალითად: პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები და აღზრდის თეორია; განათლებისა და სწავლების თეორია; განათლების ფსიქოლოგია; განათლება და კანონმდებლობა.

ექსპერტმა ასევე საბჭოს გააცნო მონიტორინგის ვიზიტის დროს დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო სასწავლო გეგმის იმგვარად მოდიფიცირება, რომ საგნის სწავლების მეთოდის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები ყოფილიყო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების წინაპირობა. შეფასების კომპონენტები უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში კონკრეტული სწავლის შედეგის/კომპეტენციის და შესაძლებელი ყოფილიყო მისი გაზომვა;

- სასწავლო პროგრამაში უნდა ყოფილიყო დამატებული სასწავლო კურსი, რომელიც ინკლუზიური განათლებისა და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ძირითად პრინციპებზე იქნებოდა ორიენტირებული და ხელს შეუწყობდა აღნიშნული მიმართულებით მომავალი მასწავლებლის კომპეტენციების გამომუშავებას;

- სასურველი იყო დაწესებულების მიერ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლება სწავლის მეთოდები, შეფასების ფორმები კომპონენტები, შეფასების მეთოდები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი სწავლის შედეგებთან და ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანების მუხლი 1⁻-ით განსაზღვრული მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებთან;

- სტუდენტის მიერ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო სასწავლო კურსებში ყოფილიყო მითითებული ინფორმაცია კონსულტაციის დროისა და ფორმატის შესახებ, ან სალექციო ცხრილში ყოფილიყო მითითებული საკონსულტაციო მომსახურების განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი კონკურსის წესით იყო არჩეული მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით, თუმცა მათ შორის იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ლია მენტეშაშვილი), რომლის არჩევა განათლების მიმართულებით უფრო უმჯობესი იქნებოდა და პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩათვალიყო.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამა გახლდათ მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა, ორსემესტრიანი, 60 კრედიტის მოცულობის. სწავლების მეთოდიკა 1 განსაზღვრული იყო პირველ სემესტრში, ხოლო სწავლების მეთოდიკა 2 - მეორე სემესტრში. რეკომენდაციის თანახმად სასურველი იყო სწავლების მეთოდიკების ერთ სილაბუსში გაერთიანება და პირველ სემესტრში შეთავაზება, რაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა.

რაც შეეხებოდა საკონსულტაციო საათებს, აღნიშნული გაწერილი იყო სასწავლო პროცესის რეგულირების წესში. როდესაც კონსულტაცია ამოღებული იქნა საერთო საათების რაოდენობიდან დაწესებულებამ აღარ ჩათვალა საჭიროდ სილაბუსში უშუალო ჩანაწერის მითითება, ვინაიდან თითოეული სტუდენტი ინფორმირებული იყო კონსულტაციასთან დაკავშირებით. სტუდენტებს ასევე ჰქონდათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემასთან წვდომა, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია შეფასებებთან, გამოცდების განრიგთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ელექტრონულ სისტემაში იყო ფანჯარა, სადაც სტუდენტს შეეძლო კომუნიკაცია ჰქონოდა თავის პედაგოგთან და მიეღო კონსულტაცია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გაზიარების მიზნით კონსულტირების საკითხი ჩადებული იქნა სილაბუსებშიც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ინკლუზიური განათლების საკითხები მათ შეტანილი ჰქონდათ ფსიქოლოგიის კურსში 4-5 საათის მოცულობით, თუმცა რეკომენდაციის საფუძველზე შეიქმნა ინკლუზიური განათლების სილაბუსი და ის მოიცავდა 5 კრედიტს. აღნიშნულმა კურსმა პროგრამაში ჩაანაცვლა ბავშვისა და მოზარდის სოციალური და ფინანსური განათლების სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეგულირების წესში შუალედური გამოცდა მოიცავდა 1-2 საათს, საათების რაოდენობას პედაგოგი თავად ირჩევდა მისი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა რეკომენდაციის შედეგად ზედგირთ კურსში შუალედური გამოცდის საათი გაიზარდა ორი საათის მოცულობით.

რაც შეეხებოდა პედაგოგს ღია მენტეშაშვილს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც გამოცხადდებოდა კონკურსი განათლების მიმართულებით, მას მიეცემოდა რეკომენდაცია შეეტანა კონკურსზე განაცხადი და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოხდებოდა მისი არჩევა აღნიშნული მიმართულებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა პროგრამაზე. წარმომადგენლის განცხადებით პროგრამაზე სწავლობდა 9 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გოდერძი ბუჩაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა ყოფილიყო განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი“ შესაბამისად;

- მიზანშეწონილი იყო, რომ შესრულებული ყოფილიყო პროგრამით დადგენილი პირობა - კვირაში 3 აკადემიური საკონტაქტო საათი, იმისათვის, რომ პროგრამას უზრუნველყო დასახული შედეგების მიღწევა;

- საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ 2017 წლის 05 აპრილის ბრძანების შინაარსი საჭიროებდა გადახედვას, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში იყო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ საფუძვლებთან სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე. რადგან ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა მეორე სემესტრში სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება გამოცემული უდა ყოფილიყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით;

- მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების დასახელება, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების დასახელებასთან. კერძოდ, უნდა ყოფილიყო ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და არა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების

მეთოდის, ისტორიის სწავლების მეთოდის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდის;

- პროგრამის ხელმძღვანელობას და დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა განხორციელებინათ ცვლილებები მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ფარგლებში. კერძოდ, უნდა გაეფასოს წინასწარ დაწესებით საფეხურზე სწავლების სპეციფიკაც და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით შეემუშავებინათ დამატებითი მოდული ცვლილებების შესაბამისად. ამასთანავე, დაწესებულების ადმინისტრაციას პროგრამაში განხორციელებული ყველა ცვლილება უნდა გაეცნოს სტუდენტებისათვის და სავალდებულო გაეხადა მათთვის პროგრამის გაგრძელება/დასრულება ცვლილებების გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენლის, მთავარეპისკოპოს სპირიდონის განცხადებით, უნივერსიტეტი დაარსებული გახლდათ სრულიად საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. უნივერსიტეტში ხორციელდებოდა თერთმეტი საბაკალავრო და თერთმეტი სამაგისტრო პროგრამა, ასევე ჰქონდათ ხუთი პროფესიული და მასწავლებლის მომზადების პროგრამა. მიმდინარე წელს დაწესებულებას ეყოლებოდა ათასი დიპლომირებული კურსდამთავრებული. მათი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანები როგორც ზემო-ქვემო აჭარაში, ისე მთლიანად რეგიონში და ქვეყანაში. აღნიშნულის დადასტურება შეემლო პროფესორ ავთანდილ დიასამიძეს, გამგებლის მოადგილეს, რომელიც ასევე ესწრებოდა საბჭოს სხდომას. კურსდამთავრებულთა 90 პროცენტი იყო დასაქმებული. ყველა პროგრამაზე გაძლიერებულად ისწავლებოდა ქართული ენის, ლიტერატურის და ხელოვნების ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენლის, პროფესორ ავთანდილ დიასამიძის განცხადებით, იგი კარგად იცნობდა რეგიონში ისტორიულად არსებულ პრობლემებს, შესაბამისად მეუფის მიერ ასეთ რეგიონში უნივერსიტეტის და ლიცეუმის სკოლის დაარსება ემსახურებოდა ქართული სულისკვეთების გაძლიერებას, ქართული მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საერთო საცხოვრებელი. წარმომადგენლის განცხადებით, მათ ჰქონდათ ერთი ფლიგელი, სადაც ამჟამად ცხოვრობდა ექვსი ინგილო სტუდენტი, რომელიც მინისტრის ბრძანებით ჩარიცხული იყვნენ ეროვნული გამოცდების გარეშე. სამომავლოდ იგეგმებოდა კიდევ დაახლოებით ოცი ინგილოს ჩამოყვანა.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც გახლდათ აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორი, განაცხადა, რომ მონიტორინგის პროცედურა მათთვის იყო სასარგებლო. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, აუცილებლად მოხდებოდა პირველი რეკომენდაციის გათვალისწინება. ვინაიდან დრო ჰქონდათ ცოტა, მოუწიათ გადამოწმება სტუდენტების მიერ საგნის ჩაბარების, შესაბამისად რეკომენდაციაში აღნიშნული გარემოება აღარ განმეორდებოდა მომავალი სასწავლო წლიდან.

დაწესებულებისთვის მისაღები იყო ასევე მეორე რეკომენდაცია, ვინაიდან გახლდათ თებერვალი და მარტი და იყო საკმაოდ ცუდი ამინდები, დაშორება უნივერსიტეტიდან ზოგიერთი სტუდენტისათვის 80 კმ-საც კი აღწევდა, ამიტომ აღნიშნული პერიოდისათვის საჭიროდ მიიჩნიეს დატვირთული ყოფილიყო მხოლოდ ორი დღე 8-8 საათი დღეში. რეკომენდაციის შემდგომ შემუშავებული იქნა ახალი ცხრილი, რომელშიც ერთი დღე დაემატა

საკონტაქტო შეხვედრებისათვის, გადაწეული იქნა სწავლის ვადა, ადგილი დაიკავა დისტანციურმა და საკონსულტაციო შეხვედრებმა სტუდენტებისათვის მოსახერხებელ დროს. აგრეთვე, ვინაიდან სტუდენტები სამსახურებიდან მოდიოდნენ უნივერსიტეტში მათთვის დაწესდა უფასო კვება. მონიტორინგის შემდეგ არ გაცდენილა არცერთი დღე მეცადინეობის გარეშე და ჩამორჩენა რომელიც მოიცავდა 12 საათს, თითოეულ საგანში ანაზღაურებული გახლდათ.

რაც შეეხებოდა სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტას, 5 სტუდენტს ჰქონდა შეწყვეტილი სტატუსი, თუმცა მათ შეუნარჩუნდათ სტატუსი და თუ მოისურვებდნენ, მომავალში გააგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას. აგრეთვე შეტანილი იქნა ცვლრლება მოდულის სახელწოდებაში - ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდის ნაცვლად ეწოდა ქართული ენა და ლიტერატურა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოდულშიც განხორციელებული იქნა ცვლილება. ის დაიყო საფეხურების მიხედვით და დაწყებითი საფეხური ცალკე იქნა გამოყოფილი

ექსპერტმა გააკეთა განმარტება დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამაში ჩადებული ჰქონდათ 2011 და 2016 წლებში გათვალისწინებული წინაპირობები, რაც ტექნიკური ხარვეზი გახლდათ და ამოღებული იქნა პროგრამიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა სხდომა 18:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი

ანანო გიორგაძე

